საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/65

ქ. ბათუმი 27 ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8, მე-16 და 42-ე მუხლების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევად.
2. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა 4 წლის ვადით შეიძლება დაიკავოს ბსუ-ს პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა.
3. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2021 წლის 28 ივლისიდან 2021 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით,** ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №13), შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
4. კანდიდატმა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე დადგენილების **დანართი 1-ის** შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) ბსუ-ს მიერ გაცემული ცნობა კანდიდატის მიერ დაკავებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

ე) 1 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ვ) სამოქმედო გეგმა.

ზ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

თ) **ცნობა ნასამართლეობის შესახებ** (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც ამავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადაა 15 კალენდარული დღე, აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის დღისათვის (რეგისტრაციის დღე) ცნობა უნდა იყოს მოქმედი).

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2021 წლის 06 აგვისტოს (პარასკევს)**, **12:00 სთ-ზე,** ხოლო კანდიდატურის შერჩევისათვის ფარული კენჭისყრა ჩატარდეს **2021 წლის 06 აგვისტოს, 14:00 სთ-ზე.**

6. ეთხოვოს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს და სამდივნოს, უზრუნველყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ინფორმირება და მოწვევა **2021 წლის 06 აგვისტოს (პარასკევს)**, **12:00 სთ-ზე,** აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატების სამოქმედო გეგმების განხილვაზე დასწრების მიზნით.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბსუს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბსუ-ს წესდებით, წინამდებარე დადგენილებით და ბსუ-ს საარჩევნო დებულებით.

8. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება (წინამდებარე დადგენილების **დანართი 2**) არაუგვიანეს **2021 წლის 27 ივლისისა** გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს;

ბ) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) – ბსუ-ს კანცელარიას და ფაკულტეტების დეკანების ოფისებს.

9. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

10. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

11. დადგენილება ძალაში შევიდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

12. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის
27 ივლისის №06-01/65 დადგენილების
დანართი 1

კანდიდატის განაცხადი
ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	

კანდიდატის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ :
გავეცანი ბსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და თანხმობას ვაცხადებ ბსუ-ს მიერ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლეობის შესახებ (მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ინფორმაცია იმ გარემოების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები, სხვა) შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოთ ფუნქცია - მოვალეობების შესრულებაში (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში განსაზღვრეთ მიზეზი):

განცხადებას თან ერთვის:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ____ ფურცელზე;
2. __ ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;
3. ავტობიოგრაფია (c.v) ___ ფურცელზე;
4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი(ები) ___ ფურცელზე;
5. სამოქმედო გეგმა ____ფურცელზე.
6. ცნობა ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის (პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის) დაკავების შესახებ ___ ფურცელზე;
7. ცნობა ნასამართლეობის შესახებ _____ ფურცელზე.

(ქვემორე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ განაცხადში აღნიშნული ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტაცია, არის ნამდვილი).

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

განაცხადის წარმოდგენის თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის
27 ივლისის №06-01/65 დადგენილების
დანართი 2

განცხადება

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კანდიდატის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - **ბსუ**) **აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს** ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევად.

2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია კანდიდატურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ბსუ-ს პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა 4 წლის ვადით.

4. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყება **2021 წლის 06 აგვისტოს, 12:00 სთ-ზე,** ხოლო არჩევნები (ფარული კენჭისყრა) ჩატარდება 2021 წლის 06 აგვისტოს, 14:00 სთ-ზე.

5. **კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2021 წლის 28 ივლისიდან 2021 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით,** ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35, პირველი კორპუსი, ოთახი N13), შაბათ–კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ–დან 16 სთ–მდე.

6. **კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:**

ა) კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადება (შევსებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2021 წლის 27 ივლისის დადგენილების N1** დანართის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) ბსუ–ს მიერ გაცემული ცნობა კანდიდატის მიერ დაკავებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის შესახებ (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი).

ე) 1 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

თ) **ცნობა ნასამართლეობის შესახებ** (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც ამავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადაა 15 კალენდარული დღე, აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის დღისათვის (რეგისტრაციის დღე) ცნობა უნდა იყოს მოქმედი).